პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია
სსიპ კოლეჯის **„ოპიზარი“** დირექტორის
27/05/2026წ. #624562 ბრძანებით

სსიპ კოლეჯი "ოპიზარი”
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
ვეტერინარია

საკონტაქტო ინფორმაცია:
მისამართი: ახალციხე, შოთა რუსთაველის ქ. 111
ტელეფონი: T-591411272 ;
ელ-ფოსტა: opizari2011@gmail.com
ვებგვერდი: http://opizarivet.ge/
პროგრამის ხელმძღვანელი: მარიამ ხითარიშვილი

2026

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე)** - ვეტერინარია / Veterinary

2. **სარეგისტრაციო ნომერი** - 08.11.1

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე** - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში/ Higher Vocational Qualification in Veterinary

4. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია-** უზრუნველყოს ვეტერინარიის სფეროსთვის მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის მომზადება.

5. **კვალიფიკაციის დონე**

   ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF) – 5

6. **კლასიფიკაციის აღწერა**

   6.1 ISCED კოდი და აღწერა - 0841 - ვეტერინარია - *შეისწავლის ცხოველების დაზიანებებისა და დაავადებების პრევენციას, 48 დიაგნოსტიკასა და მკურნალობას, ასევე მათ ზოგად მოვლას. მოიცავს ავადმყოფი, დაშავებული და დაუძლურებული ცხოველების მკურნალობას ვეტერინარულ კლინიკაში. ასევე მოიცავს ვეტერინარის ასისტენტის პროგრამასაც.*

   6.2 ISCO კოდი - 3240 - ვეტერინარიის სფეროს ტექნიკოსები და დამხმარე პერსონალი;

   6.3 ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი - 75.00.0 ვეტერინარული საქმიანობები

7. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასაქმების შესაძლებლობები**

ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტებს აქვთ მრავალფეროვანი დასაქმების შესაძლებლობა; ვეტერინარები მუშაობენ შემდეგ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, როგორც დამოუკიდებლად ასევე საჭიროების შემთხვევაში ვეტერინარის ზედამხედველობის ქვეშ.

- **ვეტერინარული კლინიკები და საავადმყოფოები** – კერძო და სახელმწიფო კლინიკები, რომლებიც უზრუნველყოფენ ცხოველების დაავადებების დიაგნოსტიკას, მკურნალობას, პრევენციას და ქირურგიულ და გინეკოლოგიურ მანიპულაციებს..
- **ფერმერული მეურნეობები და სოფლის მეურნეობები** – ცხოველთა მოვლა, კვება, დაავადებების პრევენცია და დაავადებულ ცხოველზე რეგულარული ზედამხედველობა, მკურნალობა და სხვა მასზე დაკისრებული მოვალეობებიი.
- **საცალო და საბითუმო ვეტერინარული აფთიაქები და ზოომაღაზიებიები** – მედიკამენტების და სასიცოცხლო აუცილებელი პროდუქტების საცალო და საბითუმო რეალიზაცია, კვალიფიციური დახმარების და რჩევების მიწოდება.

- **ზოოპარკები და ვივარიუმები** – ცხოველებზეზრუნვა და საკვების მოწოდება, მათ შორის ეგზოტიკური ცხოველების სპეციალიზირებული მოვლა, ასევე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება
- **ლაბორატორიები და კვლევითი ცენტრები** – მეცნიერული კვლევებში მონაწილეობის მიღება, რომელიც მიმართულია ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკაზე და პრევენციაზე.
- **მცირე ცხოველების, აკვაკულტურისა და მეფუტკრეობის მეურნეობები** – მუშაობა მეფუტკრეობის მეურნეობებში და თევზსაშენებში, სადაც შესაძლებელია როგორც ტექნიკური, ისე ცხოველთა დაავადებების მხრივ დახმარების გაწევა.
- **სასაკლაოები**-ცხოველური წარმოშობის სურსათის და ცხოველის საკვების საწარმოები– აღნიშნულ დაწესებულებებში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტების დაცვა და კონტროლი, რომ წარმოებული პროდუქცია იყოს უვნებელი და უსაფრთხო.
- **ცხოველების თავშესაფრები** – დაზარალებული ან მიტოვებული ცხოველების მოვლა-შენახვა და ჯანმრთელობაზე ზედამხედველობა, მათ შორის პირველადი დახმარების აღმოჩენა და ვეტერინარის მითითებით სამკურნალო ღონისძიებებში ჩართულობა.

8. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** - სრული ზოგადი განათლება

9. **სწავლის შედეგები**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. უმკურნალოს ცხოველებს ვეტერინარის დანიშნულების მიხედვით;
2. რეკომენდაციები/რჩევები ცხოველთა დაავადებებსა და დაზიანებებზე კომპეტენციის ფარგლებში;
3. უზრუნველყოს პირველადი ვეტერინარული დახმარება ცხოველის, მათ შორის შინაური ცხოველის მსუბუქი დაზიანებისა და გადაუდებელი შემთხვევების დროს;
4. განახორციელოს ვეტერინარი ქირურგის ასისტირება;
5. შეასრულოს ტექნიკური დავალებები ცხოველთა ხელოვნურად განაყოფიერების მიზნით;
6. აიღოს ლაბორატორიული სინჯები, მოაგროვოს და ჩაატაროს ექსპრესტესტები;
7. გაუწიოს ასისტირება ვეტერინარს ცხოველთა ჯანმრთელობის პრობლემების დადგენისას და რუტინულ სტომატოლოგიურ პროცედურებში;
8. განახორციელოს ცხოველთა საკვებისა და კვების პროცესის მონიტორინგი;
9. აღრიცხოს და ჩამოწეროს მედიკამენტები, ქიმიკატები და სხვა ფარმაცევტული მასალები;

10. მიიღოს მონაწილეობა ცხოველთა ზოგად პროფილაქტიკურ, საკარანტინე-შემზღუდველ, გეგმიურ და იძულებით ეპიზოოტიის საწინააღმდეგო (ვაქცინაცია, დეზინფექცია, დერატიზაცია, დეზინსექცია, დეგაზაცია, დეზოდორაცია, დეზაკარიზაცია) ღონისძიებებში;
11. განახორციელოს ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი;
12. განახორციელოს ცხოველთა დაკვლის შემდგომი შემოწმება ვეტერინარის ზედამხედველობით.

10. **სწავლის შედეგების დეტალური აღწერა**

მოდული	პროფესიული უნარები	პროფესიული ცოდნა	*საკვანძო კომპეტენციები*							
			მშობლიურ ენაზე	*უცხო ენაზე*	*მათემატიკური*	*ციფრული*	*დამოუკიდებლად*	*პიროვნებათშორი*	*მეწარმეობა*	*კულტურული*
გაცნობითი პრაქტიკა - ვეტერინარია	• ასრულებს ვეტერინარული საქმიანობის სფეროში გამოყენებულ პრაქტიკულ სამუშაოს; • იცავს უსაფრთხოების წესებს საქმიანობის შესრულებისას; • მოქმედებს პროფესიული ეთიკის შესაბამისად. • იცავს პირადი ჰიგიენის და გარემოს უსაფრთხოების ნორმებს ევროკავშირის (EC) და WHO-ს მოთხოვნებით; • იყენებს პირადი დაცვის საშუალებებს; • იცავს შრომის, ხანძარსაწინააღმდეგო და ეკოლოგიური უსაფრთხოების	• იცის ვეტერინარული საქმიანობის ძირითადი მიმართულებები; • იცის უსაფრთხოების წესები; • იცის პროფესიული ეთიკის პრინციპები • იცის შრომის უსაფრთხოების წესები; • იცის პირადი ჰიგიენის და ვეტერინარულ–სანიტარული ნორმები; • იცის საწარმოო უსაფრთხოების ამკრძალავი და გამაფრთხილებელი ნიშნები;	✓		✓	✓	✓	✓	✓	✓

	წესებს (ISO და ESF სტანდარტებით); • მართავს კრიტიკულ სიტუაციებს და ამცირებს ადამიანურ რისკებს; • იცავს ეკოლოგიურ სტანდარტებს ნარჩენების მართვისას (ნაკელი, ქიმიკატები); • ხელს უწყობს მწვანე ინიციატივებს, მათ შორის ნაკლებად მავნე ქიმიკატების გამოყენებას.იცავს ცხოველთან მუშაობისას ცხოველისა და პირადი უსაფრთხოების წესებს;	• იცის დამცავი საშუალებების სახეები, გამოყენების წესები და მნიშვნელობა; • იცის საკუთარი ჯანმრთელობისთვის საჭირო ღონისძიებები; • იცის პირველი სამედიცინო დახმარების საშუალებები და სახეები; • იცის ამკრძალავი და გამაფრთხილებელი პლაკატების მნიშვნელობა. • იცის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის ნორმები და გამომწვევი ფაქტორები; • იცის ხანძრის აღმოფხვრის წესები; • იცის ეკოლოგიური სტანდარტები.								
ცხოველთა ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებები	• განსაზღვრავს ცხოველთა ანატომიური აგებულებისა და ფიზიოლოგიური პროცესების თავისებურებებს; • ამოიცნობს შინაური ცხოველების ორგანოთა სისტემების განსხვავებებს	• იცის ცხოველთა ორგანოთა სისტემების ანატომიური და ფიზიოლოგიური აგებულება; • იცის შინაური ცხოველების ანატომიური თავისებურებები.	✓	✓	✓	✓	✓			
მიკრობიოლოგია	• ახორციელებს მიკროორგანიზმების გამოვლენასა და	• იცის ბაქტერიების, ვირუსების, სოკოებისა და	✓		✓	✓	✓			

	კლასიფიკაციას ლაბორატორიულ პირობებში; • ატარებს მიკრობიოლოგიურ კვლევას უსაფრთხოების წესების დაცვით.	პარაზიტების სტრუქტურა და კლასიფიკაცია; • იცის ინფექციური დაავადებების გადაცემის მექანიზმები.								
ჰისტოლოგია	• ამოიცნობს ცხოველთა ქსოვილთა მიკროსკოპულ სტრუქტურას; • ამზადებს და აანალიზებს ქსოვილთა პრეპარატებს.	• იცის ქსოვილთა ტიპების (ეპითელური, შემაერთებელი, კუნთოვანი, ნერვული) სტრუქტურა და ფუნქცია; • იცის ჰისტოლოგიური კვლევის საფუძვლები.	✓		✓	✓	✓			
პათოლოგია	• ამოიცნობს პათოლოგიური პროცესების მაკროსკოპულ და მიკროსკოპულ ნიშნებს; • იღებს და ამუშავებს პათოლოგიურ მასალას; • ასრულებს ნეკროფსიას უსაფრთხოების წესების დაცვით;	• იცის პათომორფოლოგიური პროცესების სახეები; • პათოლოგიური კვლევის მეთოდები.	✓		✓	✓	✓			
ტოქსიკოლოგია	• ანალიზს უკეთებს მოწამვლის შესაძლო წყაროებს; • ამოიცნობს მოწამვლის კლინიკურ ნიშნებს; • ასრულებს ტოქსიკური ნიმუშების ლაბორატორიულ გამოკვლევას;"	• იცის ტოქსიკური ნივთიერებების კლასიფიკაცია და მოქმედების მექანიზმები; • იცის მოწამვლის პრევენციისა და პროფილაქტიკის წესები; • იცის ტოქსიკოლოგიური კვლევის ეტაპები;	✓		✓	✓	✓			

ბიოქიმიის საფუძვლები	• ასრულებს ბიოქიმიურ ანალიზებს განსაზღვრული მეთოდების გამოყენებით; • აფასებს ცხოველთა ბიოქიმიური მაჩვენებლების ნორმიდან გადახრებს.	• იცის ბიოქიმიური ანალიზების ჩატარების წესები; • იცის ძირითადი ბიოქიმიური მაჩვენებლების დიაგნოსტიკური მნიშვნელობა.	✓		✓	✓	✓			
ცხოველთა დაავადებები	• აღწერს დაავადებათა მიმდინარეობასა და შესაძლო შედეგებს; • იძენს დაავადებული ცხოველის მონაცემებს; • ახორციელებს დეზინფექციას, დეზინსექციას, დერატიზაციას, დეზინვაზიას, დეზოდორაციას და დეგაზაციას/ფუმიგაციას დადგენილი სტანდარტების შესაბამისად; • აუვნებლებს განსაკუთრებით საშიში დაავადებების კერებს; • ახდენს ნაკელის, ლეშის, გაუვარგისებული ცხოველის საკვების, უვარგისი ვეტერინარული პრეპარატებისა და საეჭვო პროდუქტების მართვასა და განკარგვას; • იცავს სამოქმედო ტერიტორიის ბიოუსაფრთხოების წესებს	• იცის ცხოველთა დაავადებების კლინიკური ნიშნები; • იცის დაავადებათა მიმდინარეობა და შედეგები; • იცის ვეტერინარული მონაცემების აღრიცხვის სტანდარტები;"	✓	✓	✓	✓	✓	✓		

	ცხოველთა და ადამიანის ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად.									
სურსათის უვნებლობა და ვეტერინარული საზოგადოებრივი ჯანდაცვა	• აკონტროლებს ცხოველური წარმოშობის პროდუქტის უვნებლობის სტანდარტების შესრულებას; • იძენს ნიმუშებს ლაბორატორიული გამოკვლევისთვის; • ვეტერინარულ საქმიანობისას კომპეტენციის ფარგლებში ითვალისიწინებს სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტებს როგორიცაა HACCP, კარგი წარმოების პრაქტიკის და Global Gap პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ცხოველთა ჯანმრთელობისა და ადამიანისთვის უსაფრთხო პროდუქტების მიღებას; • ახორციელებს სურსათის უვნებლობის პროცესებს, რომლებიც მოიცავს სურსათის გადამუშავების, შენახვისა და ტრანსპორტირების ოპერაციებს • ამზადებს დოკუმენტაციას სურსათის უვნებლობაზე;	• იცის ვეტერინარული საქმიანობის პროცესების შესაბამისობა სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან; • იცის სურსათის/ცხოველთა საკვების უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები; • იცის სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული საფრთხეები; • იცის კრიტიკული წერტილების პრევენციის მნიშვნელობა; • იცის სურსათის ხარისხის განსაზღვრის მეთოდები; • იცის სურსათის უვნებლობაში მიკვლევადობის მნიშვნელობა. • იცის ცხოველთა პროდუქტებთან დაკავშირებული	✓		✓	✓	V	✓		

		მიკრობიოლოგიური და ქიმიური რისკები. • იცის მიკრობიოლოგიური რისკების მართვის მეთოდები და ანალიზის პროცედურები. • იცის სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტები (HACCP, Global GAP); • იცის ცხოველთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფის პრინციპები, რომლებიც გავლენას ახდენენ სურსათის უსაფრთხოებაზე; • იცის დაავადებების გავრცელების პრევენციის ღონისძიებები;								
ინფექციის კონტროლის საფუძვლები	• უზრუნველყოფს ინფექციის პრევენციის და კონტროლის ღონისძიებების შესრულებას; • იყენებს ინდივიდუალურ და კოლექტიურ დამცავ საშუალებებს; • აფასებს გარემოს ბიოუსაფრთხოების მაჩვენებლებს;	• იცის ინფექციის გავრცელების გზები; • იცის პრევენციული ღონისძიებების გატარების სტანდარტები; • იცის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების ინსტრუქცია;	✓			✓	✓	✓		

ცხოველთა კვება	• ადგენს სხვადასხვა სახეობის ცხოველისთვის შესაბამის რაციონს, ჯანმრთელობის მდგომარეობის და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით; • აფასებს კვების პირობების შესაბამისობას ცხოველის ფიზიოლოგიურ მოთხოვნებთან და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან; • აღრიცხავს საკვებით გამოწვეული პათოლოგიური მდგომარეობის შესაძლო რისკებს.	• იცის ცხოველთა კვების ფიზიოლოგიური თავისებურებები; • იცის ცხოველთა ასაკობრივი და სახეობრივი კვებითი მოთხოვნები; • იცის საკვების ტიპები, შედგენილობა და კვებითი ღირებულება; • იცის რაციონის შედგენის და საკვების ბალანსირების პრინციპები. •	✓		✓	✓	✓	✓	✓	
ვეტერინარული ფარმაცია და ფარმაკოლოგია	• ასრულებს ვეტერინარული პრეპარატების გაცემისა და შენახვის წესებს მოქმედი რეგულაციების და პირობების დაცვით; • იყენებს ვეტერინარულ პრეპარატებს ვეტერინარის დანიშნულების, დოზირების და ადმინისტრირების წესების შესაბამისად; • ამზადებს პრეპარატებს გამოყენებისთვის და ასრულებს საჭირო ფარმაცევტულ მანიპულაციებს.	• იცის ვეტერინარული პრეპარატების ძირითადი ჯგუფები და მათი მოქმედების მექანიზმები; • იცის პრეპარატების ფარმაკოკინეტიკური და ფარმაკოდინამიკური მახასიათებლები • იცის პრეპარატების შენახვის, შენახვის პირობების და გაცემის წესები; • იცის პრეპარატების შესაძლო გვერდითი მოვლენები და უკუჩვენებები.	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	

ცხოველთა მოვლა და კეთილდღეობაზე ზრუნვა	• უზრუნველყოფს სხვადასხვა სახეობის ცხოველთა ყოველდღიური მოვლის პროცედურებს (კვება, წყლით მომარაგება, სისუფთავე, გადაადგილება, განთავსება); • აფასებს ცხოველის ქცევით ჯანმრთელობის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში აცნობებს ვეტერინარს; • ასრულებს ცხოველთა მოვლის სპეციალურ პროცედურებს (თმის/ბეწვის მოვლა, ფერმის/საყარაულე პირობების შესაბამისი მოვლა); • ასრულებს ვაქცინაციისთვის მომზადების მხარდაჭერას; • უზრუნველყოფს ცხოველის კეთილდღეობის პრინციპების დაცვას სამუშაო	• იცის ცხოველთა კეთილდღეობის ძირითადი პრინციპები და მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციები; • იცის სხვადასხვა სახეობის ცხოველთა მოვლისა და მოვლა-პატრონობის სტანდარტები; • იცის ცხოველთა ქცევის საფუძვლები და მათი ჯანმრთელობის ქცევითი ინდიკატორები; • იცის ცხოველთა სტრესი, მისი გამოვლინებები და პრევენციის გზები • იცის ცხოველთა მოვლაში გამოყენებული აღჭურვილობა და ჰიგიენის წესები.	✓		✓	✓	✓	✓	✓	✓
ცხოველთა იდენტიფიკაცია - რეგისტრაცია	• ასრულებს ცხოველთა იდენტიფიცირების პროცედურებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; • განასხვავებს იდენტიფიცირების ტიპებს (მარკირება, ჩიპირება, ბრენდირება და სხვ.) და	• იცის ცხოველთა იდენტიფიცირების მეთოდები, ტექნოლოგიები და მათი უპირატესობა/შეზღუდვები; • იცის ცხოველთა რეგისტრაციის სამართლებრივი ჩარჩო და ეროვნული სისტემის სპეციფიკა;	✓		✓	✓	✓	✓	✓	

	არჩევს შესაბამის ტექნოლოგიას; • ასრულებს რეგისტრაციის ადმინისტრაციულ პროცედურებს ცხოველთა რეესტრში; • იყენებს შესაბამის ტექნიკურ საშუალებებს ცხოველთა აღრიცხვისას; • ამზადებს და ავსებს რეგისტრაციის დოკუმენტაციას, ელექტრონულ ან ბეჭდურ ფორმატში	• იცის ვეტერინარული კონტროლისა და აღრიცხვის მნიშვნელობა საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და კვების უსაფრთხოებისთვის; • იცის საერთაშორისო რეკომენდაციები და სტანდარტები ცხოველთა იდენტიფიკაციის სფეროში.								
გარემოსდაცვითი საფუძვლები	• აფასებს ვეტერინარული საქმიანობის ზეგავლენას გარემოზე; • იცავს გარემოსდაცვით ნორმებს სამუშაო პროცესში.	• იცის გარემოს დაცვის ეროვნული და საერთაშორისო მოთხოვნები; • იცის ნარჩენების მართვის სტანდარტები	✓		✓	✓	✓	✓		✓
ბიოუსაფრთხოება	• ასრულებს ბიოუსაფრთხოების ზომებს სამუშაო გარემოში; • იცავს სანიტარულ-ჰიგიენურ წესებს; • იცავს პათოგენური აგენტების გადაცემის პრევენციის წესებს; • მუშაობს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებით;	• იცის ბიოუსაფრთხოების სტანდარტები; • იცის სანიტარულ-ჰიგიენური წესები; • იცის პათოგენური აგენტების გადაცემის გზები; • იცის გადაცემის პრევენციისა და კონტროლის პრინციპები;	✓	✓	✓	✓	✓			✓

	• უზრუნველყოფს სამუშაო გარემოს სადეზინფექციო წესების შესრულებას; • იყენებს ბიოუსაფრთხოების აღჭურვილობას ინსტრუქციის შესაბამისად.	• იცის ბიოუსაფრთხოების აღჭურვილობის გამოყენების წესი; • იცის ინფექციის კონტროლის ძირითადი პროცედურები სამუშაო გარემოში.								
ცხოველთა მკურნალობა	• ამზადებს დაავადებულ ცხოველს სამკურნალოდ • ახორციელებს ცხოველის ორგანიზმში სამკურნალო საშუალებების შეყვანას • ამზადებს ორგანიზმში შესაყვან წამალს წამლის მახასიათებლების, დოზისა და შეყვანის გზის მიხედვით • ახორციელებს ორგანიზმში შეყვანილი წამლის მოქმედების მონიტორინგს; • ეხმარება ვეტერინარ ექიმს სამკურნალო პროცედურების და მანიპულაციების მართვაში; • ახორციელებს ცხოველის მდგომარეობის მონიტორინგს მკურნალობის პერიოდში.	• იცის სამკურნალო საშუალებების კლასიფიკაცია; • იცის სამკურნალო საშუალებების შენახვის წესი; • იცის სამკურნალო საშუალებების გამოყენების წინა მომზადების მეთოდები; • იცის სამკურნალო საშუალებების შეყვანის მეთოდები და გზები; • იცის სამკურნალო საშუალებების ფორმები და დოზები; • იცის სამკურნალო პროცედურების და მანიპულაციების ჩატარების დროს წამლების, მასალებისა და ინსტრუმენტების მომზადების წესი; • იცის ცხოველის ქცევის თავისებურებები;	✓		✓	✓	✓	✓	✓	

		• იცის ცხოველის ფიქსაციის მეთოდები; • იცის მანიპულაციისა და პროცედურების თანმიმდევრობა; • იცის მანიპულაციისა და პროცედურების ჩასატარებელი არის მომზადების წესი; • იცის მკურნალობის პროცესში ცხოველთა ზოგადი მდგომარეობის ცვლილებათა ინდიკატორები და მონიტორინგის მეთოდები.								
ვეტერინარი ქირურგის ასისტირება	• ასრულებს ქირურგიული სივრცის მომზადებას; • ასისტირებს ვეტერინარ ქირურგს ოპერაციული პროცესის ყველა ეტაპზე: • აკვირდება და აფიქსირებს ცხოველის მდგომარეობის ცვლილებებს ოპერაციის მიმდინარეობისას და აწვდის ინფორმაციას ექიმს; • ამზადებს ანესთეზიასათვის საჭირო მასალებს, უზრუნველყოფს ადმინისტრირების პირობებს და ეხმარება ექიმს პროცესში; • ასრულებს ოპერაციის შემდგომ სტერილური	• იცის ქირურგიული და არაქირურგიული პროცედურების ასისტირების სტანდარტები; • იცის ქირურგიული ხელსაწყოების სახეობები, მათი დანიშნულება და სტერილიზაციის წესები; • იცის ქირურგიული სივრცის და ინსტრუმენტების ასეპტიკური მომზადების მოთხოვნები; • იცის ცხოველის ანესთეზიის ძირითადი პრინციპები და მეთოდები;	✓			✓	✓	✓		

	ინსტრუმენტების დამუშავებასა და შენახვას შესაბამისი პროტოკოლით; • აკვირდება ცხოველის მდგომარეობას პოსტოპერაციულ პერიოდში, ასრულებს ზრუნვის და მოვლის მითითებებს;	• იცის ოპერაციული სეანსისას ცხოველის ფიზიოლოგიური პარამეტრების მონიტორინგის საფუძვლები; • იცის ქირურგიული პროცედურების დროს უსაფრთხოების ზომები როგორც ცხოველის, ისე პერსონალის დაცვისთვის; • იცის სისხლდენის, შოკის, ინფექციის პრევენციისა და მართვის საფუძვლები; • იცის ქირურგიული ჩარევის შემდგომი მოვლის ძირითადი პრინციპები.								
ცხოველთა ჯანმრთელობის დიაგნოსტირებაში მონაწილეობა	• ასრულებს ცხოველის საწყის კლინიკურ დათვალიერებას და აღრიცხავს გარე ნიშნებს • აფიქსირებს და ავსებს პირველადი დიაგნოსტიკური მონაცემების ფორმას ვეტერინარის მითითებით; • აგროვებს ბიოლოგიურ მასალებს (სისხლი, შარდი, განავალი, ლორწო და სხვ.) და უზრუნველყოფს მათი უსაფრთხო ტრანსპორტირებას; • ეხმარება ვეტერინარ ექიმს ლაბორატორიული ან	• იცის ცხოველთა ჯანმრთელობის ძირითადი ფიზიოლოგიური პარამეტრები და მათი ნორმები; • იცის საწყისი კლინიკური დათვალიერების პროტოკოლები და ჩანაწერების წარმოების წესები; • იცის ანამნეზის შეგროვების საფუძვლები და კითხვების ფორმულირების ტექნიკა; • იცის ბიოლოგიური მასალის აღების	✓			✓	✓	✓		

	ინსტრუმენტული დიაგნოსტიკის ჩატარებისას • უზრუნველყოფს ცხოველის ფიქსაციას დიაგნოსტიკური პროცედურების დროს უსაფრთხოების წესების დაცვით; • მონაწილეობს ანამნეზის შეგროვებაში და აქტიურად აწვდის ექიმს შესაბამის ინფორმაციას; • ასრულებს აპარატურის/ინსტრუმენტების მომზადებას და გასუფთავებას დიაგნოსტიკური პროცედურების წინ და შემდეგ.	ტექნოლოგიები, სანიტარული მოთხოვნები და ბიოუსაფრთხოების პრინციპები; • იცის ლაბორატორიული კვლევების ძირითადი ტიპები და მათი მნიშვნელობა დიაგნოსტიკაში; • იცის ინსტრუმენტული დიაგნოსტიკის საშუალებების მუშაობის პრინციპები; • იცის ცხოველის ფიქსაციის მეთოდები სხვადასხვა დიაგნოსტიკური მანიპულაციისას.								
ცხოველთა საკარანტინო-შემზღუდავ ღონისძიებებში მონაწილეობა	• იცავს საკარანტინო წესებსა და ბიოუსაფრთხოების მოთხოვნებს; • ამზადებს საკარანტინო ზონას და მონაწილეობს ცხოველების იზოლაციაში • ასრულებს ცხოველთა დათვალიერებას, აღრიცხვასა და მონიშვნას; • აწვდის ვეტერინარს ცხოველის მდგომარეობაზე ინფორმაციას;	• იცის საკარანტინო და ბიოუსაფრთხოების ძირითადი პრინციპები; • იცის ცხოველთა კლინიკური ნიშნები და აღრიცხვის წესები; • იცის პრევენციული ღონისძიებების ტიპები და გამოყენების პირობები; • იცის იზოლაციის, მონიშვნისა და თანამშრომლობის სტანდარტები.	✓		✓	✓	✓	✓	✓	✓

	• უზრუნველყოფს პრევენციულ ღონისძიებებს და სამუშაო გარემოს მომზადებას.									
ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი	• აფასებს ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობას დაკვლისწინა ეტაპზე; • უზრუნველყოფს ჰუმანურ მოპყრობასა და ტრანსპორტირების სტანდარტების დაცვას; • ასრულებს ცხოველთა იდენტიფიცირებასა და შესაბამის დოკუმენტაციას; • აკვირდება დაკვლის პროცესის შესაბამისობას ჰიგიენურ და სამართლებრივ ნორმებთან.	• იცის ცხოველთა კეთილდღეობის პრინციპები დაკვლისწინა ეტაპზე; • იცის დაკვლის პროცედურების სამართლებრივი და ჰიგიენური მოთხოვნები; • იცის ცხოველთა სტრესის ნიშნები და შესაბამისი რეაგირების მექანიზმები; • იცის ცხოველთა იდენტიფიკაციისა და აღრიცხვის წესები.	✓			✓	✓	✓		
ცხოველთა დაკვლისშემდგომი კონტროლის განხორციელებაში მონაწილეობა	• მონაწილეობს დაკვლისშემდგომი დათვალიერების პროცესში ვეტერინარის ხელმძღვანელობით; • ასრულებს დაკვლილი ცხოველის ორგანოებისა და ქსოვილების პრეპარირებას დათვალიერებისთვის • ამზადებს საჭირო აღჭურვილობას და სამუშაო	• იცის დაკვლისშემდგომი კონტროლის მიზანი, პრინციპები და პროცედურები; • იცის დაკვლისშემდგომი დათვალიერებისას შეფასებული ორგანოები და ნიშნები; • იცის ინფექციური და პარაზიტული	✓			✓	✓	✓		

	გარემოს დათვალიერების პროცედურისთვის.	დაავადებების დაკვლისშემდგომი ნიშნები. • იცის პათოლოგიური ცვლილებების ძირითადი ნიშნები; • იცის დეზინფექციის, დეზინსექციისა და დერატიზაციის დროს უსაფრთხოების წესები;								
ვეტერინარული მეანობა და გინეკოლოგია	• იყენებს ინ ვიტრო განაყოფიერების და სხვა რეპროდუქციულ ტექნოლოგიებს; • აკეთებს ცხოველთა გენეტიკური მონაცემების ანალიზი და სელექცია. • ახდენს რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემების პრევენციას; • ახორციელებს ნეონატალური მოვლას	• იცის ახურებული ცხოველების შეფასება • იცის სპერმის მომზადება და საჭირო ინსტრუმენტების და ცხოველის მომზადება; • იცის ხელოვნური განაყოფიერების განხორციელება • იცის შესრულებული აქტივობების დოკუმენტირება; • იცის ხელოვნური განაყოფიერების მეთოდები და ტექნიკა; • იცის სახეობის მიხედვით ცხოველთა მაკეობის განსაზღვრა; • იცის ნორმალური და პათოლოგიური მშობიარობის განსაზღვრა	✓			✓	✓	✓		

		• იცის სამეანო დახმარების აუცილებლობა • იცის გართულებული მშობიარობისას სამეანო დახმარების წესები; • იცის უნაყოფობის მიზეზის შეფასება • იცის მაკე ცხოველის ჯანმრთელობის შეფასება • იცის მოგების შემდეგ დედა ცხოველის ჯანმრთელობის შეფასებისა და მოვლის პრინციპები • იცის ახალშობილი ცხოველის უსაფრთხოების წესები და უვლის ახალშობილს.								
შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი და კატა) დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა	• მონაწილეობს ძაღლებისა და კატების კლინიკურ დათვალიერებასა და ანამნეზის შეგროვებაში; • ასისტირებს დიაგნოსტიკური და სამკურნალო პროცედურების შესრულებაში; • ამზადებს პრეპარატებსა და ინსტრუმენტებს და უზრუნველყოფს ცხოველის ფიქსაციას.	• იცის ძაღლებისა და კატების გავრცელებული დაავადებების ნიშნები; • იცის დიაგნოსტიკური და სამკურნალო მეთოდების ძირითადი ეტაპები; • იცის ცხოველის ფიქსაციისა და ჰიგიენური ნორმების დაცვის წესები.	✓			✓	✓	✓		
პირველადი გადაუდებელი	• ასრულებს პირველადი გადაუდებელი დახმარების	• იცის გადაუდებელი მდგომარეობების	✓			✓	✓	✓		

ვეტერინარული დახმარება	პროცედურებს ვეტერინარის მითითებით; • მონაწილეობს სისხლდენის შეჩერებაში, ჭრილობის დამუშავებასა და ტრავმირებული კიდურის ფიქსაციაში; • უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო მასალების მომზადებას და საჭირო აღჭურვილობის გამოყენებას.	ძირითადი ნიშნები და პირველადი დახმარების პრინციპები; • იცის სისხლდენის, შოკის, მოტეხილობის და ჭრილობის მკურნალობის ძირითადი მეთოდები; • იცის პირველადი სამედიცინო მასალების გამოყენებისა და უსაფრთხოების წესები.									

11. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ვეტერინარია“** ითვალისწინებს 6 ზოგად მოდულს, ჯამური 15 კრედიტის მოცულობით და 25 პროფესიულ მოდულს, ჯამური 113 კრედიტის მოცულობით, მათ შორის 9 კლინიკურ მოდულს. ვეტერინარიაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 128 კრედიტის დაგროვება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ვეტერინარია“** განხორციელდება კოოპერაციული მიდგომით, რომლის პროფესიული მოდულების 113 კრედიტიდან 47.59 % -ს დადასტურება ხდება საწარმოში ,რაც ასახულია გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ხოლო 52.41% განხორციელდება სსიპ კოლეჯში **„ოპიზარი“** ქ. ახალციხე შოთა რუსთაველის ქ.#111

საწარმოში გატანილი მოდულების სწავლის შედეგები:

- ✓ **მოდული-„ მიკრობიოლოგია “**

N1 შედეგი - „ მიკროორგანიზმების კლასიფიკაცია და მორფოლოგიისა და აგებულების იდენტიფიკაცია“ (25 სთ)

- ✓ **მოდული-„ ცხოველთა კვება “**

N3 შედეგი - „ საზრდო ნივთიერებებზე მოთხოვნის დადგენა “ (12,5 სთ)
N4 შედეგი - „საკვების დანახარჯების გაანგარიშება“ (12,5 სთ)
N5 შედეგი - „ სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისათვის სანიმუშო ულუფის შედგენა “ (25 სთ)
N6 შედეგი - „ სილოსის, იონჯის წარმოების მეთოდები;ბუნებრივი საძივრებისა და საკვები სავარგულების მართვა“ (25 სთ)

- ✓ **მოდული-„ ვეტერინარული ფარმაცია და ფარმაკოლოგია“**

N2 შედეგი - „ სამკურნალწამლო ფორმების აღწერა“ (12,5 სთ)
N4 შედეგი - „ რეცეპტში მოცემული ინფორმაციის წაკითხვა“ (12,5 სთ)
N5 შედეგი - „ წამლების დაფასოება, შეფუთვა და მარკირება “ (25 სთ)
N6 შედეგი - „ ცხოველის სამკურნალო საკვების აღწერა“ (25 სთ)
N7 შედეგი - „ მომხმარებლისათვის ბიოლოგიურად აქტიური დანამატებისა და ჰიგიენური საშუალებების შეჩევა “ (25 სთ)
N8 შედეგი - „ პროდუქციის მიღება - განთავსება, აღრიცხვა და ნაშთის პერიოდული კონტროლი“ (25 სთ)

- ✓ **მოდული-„ ცხოველთა მოვლა და კეთილდღეობაზე ზრუნვა “**

N3 შედეგი - „ სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა სადგომის მოწესრიგება - დატვირთვა“ (12,5 სთ)
N4 შედეგი - „ კომპანიონი ცხოველების კეთილდღეობა და მოვლა“ (12,5 სთ)
N5 შედეგი - „ ცხოველის მოვლა “ (25 სთ)

- ✓ **მოდული-„ ცხოველთა იდენტიფიკაცია - რეგისტრაცია “**

N2 შედეგი - „ წვრილფეხა საქონლისა და მათი სადგომის რეგისტრაცია“ (6,5 სთ)
N3 შედეგი - „ მსხვილფეხა საქონლისა და მათი სადგომის რეგისტრაცია“ (6,5 სთ)
N4 შედეგი - „ ღორისა და მისი სადგომის რეგისტრაცია“ (6,5 სთ)

N5 შედეგი - „ საფუტკრე მეურნეობის რეგისტრაცია და ფუტკრის იდენტიფიკაცია“ (12,5 სთ)
N6 შედეგი - „ შინაური ბინადარი ცხოველის რეგისტრაცია “ (12,5 სთ)

- ✓ **მოდული-„ ცხოველთა მკურნალობა“**

N1 შედეგი - „ ცხოველის დისპანსერიზაცია“ (25 სთ)
N2 შედეგი - „ ცხოველის ოპერაციამდე და ოპერაციის შემდგომი მანიპულაციების განხორციელება“ (25 სთ)
N3 შედეგი - „ ცხოველის ორგანიზმში სამკურნალო საშუალებების შეყვანა “ (25 სთ)
N4 შედეგი - „ მკურნალობის პერიოდში ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი“ (25 სთ)

- ✓ **მოდული-„ ვეტერინარი ქირურგის ასისტირება“**

N2 შედეგი - „ წინასაოპერაციო მომზადება“ (37,5 სთ)
N3 შედეგი - „ საოპერაციო მანიპულაციების განხორციელება “(25 სთ)
N4 შედეგი - „ ოპერაციის შემდგომი სამუშაოების შესრულება“ (37,5 სთ)
N5 შედეგი - „ სტომატოლოგიური მანიპულაცის ჩატარება“ (25 სთ)

- ✓ **მოდული„ ცხოველთა ჯანმრთელობის დიაგნოსტირებაში მონაწილეობა“**

N2 შედეგი - „ ლაბორატორიისა და მისი ფუნქციონირების თავისებურებების აღწერა“ (12,5 სთ)
N4 შედეგი - „ ცხოველთა კლინიკური გამოკვლევა“ (25 სთ)
N5 შედეგი - „ სისხლისა და შარდის აღება გამოკვლევისთვის “ (25 სთ)
N6 შედეგი - „ ცხოველთა გამოკვლევა-დიაგნოსტიკა ექსპრეს-ტესტების გამოყენებით“ (25 სთ)
N7 შედეგი - „ ცხოველთა ინსტრუმენტული გამოკვლევაში მონაწილეობა“ (25 სთ)

N8 შედეგი - „ დაავადებული ცხოველებიდან გამონაყოფების და პათოლოგიური მასალების აღება ლაბორატორიაში გასაგზავნად“ (25 სთ)

- ✓ **მოდული -„ ცხოველთა საკარანტინო-შემზღუდავ ღონისძიებებში მონაწილეობა“**

N2 შედეგი - „ ცხოველთა ზოგად პროფილაქტიკური ღონისძიებებში მონაწილეობა“ (12,5 სთ)
N3 შედეგი - „ გეგმიურ და იძულებით (საკარანტინო-შემზღუდველი) ეპიზოოტის ღონისძიებებში მონაწილეობა“ (25 სთ)
N4 შედეგი - „ პარაზიტული დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებებში მონაწილეობა “ (25 სთ)
N5 შედეგი - „ განსაკუთრებით საშიში დაავადებების კერების გაჯანსაღება“ (25 სთ)
N7 შედეგი - „ სამოქმედო ტერიტორიის კეთილსაიმედოობის დაცვა“ (25 სთ)

- ✓ **მოდული-„ ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი“**

N3 შედეგი - „ ცხოველთა დაკვლისწინა ვეტერინარული კონტროლის განხორციელება“ (50 სთ)
N4 შედეგი - „ ცხოველთა დაკვლაზე ვეტერინარული ზედამხედველობა“ (50 სთ)

- ✓ **მოდული-„ ცხოველთა დაკვლისშემდგომი კონტროლის განხორციელებაში მონაწილეობა“**

N2 შედეგი - „ ცხოველთა დაკვლის შემდგომ შემოწმების პროცესში მონაწილეობის მიღება“ (37,5 სთ)
N3 შედეგი - „ დაკლული ცხოველიდან ნიმუშების აღება და ლაბორატორიაში გაგზავნა“ (50 სთ)
N4 შედეგი - „ ახალ ხორცზე ჯანმრთელობის ნიშანდების პროცესში მონაწილეობა“ (50 სთ)

- ✓ **მოდული-„ ვეტერინარული მეანობა და გინეკოლოგია“**

N4 შედეგი - „ სამეანო დახმარების წარმართვა“ (25 სთ)
N5 შედეგი - „ ხელოვნური განაყოფიერების პროცესის განხორციელება “ (50 სთ)

- ✓ **მოდული-„ შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი და კატა) დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა“**

N2 შედეგი - „ გადამდები და არაგადამდები დაავადებების კლინიკური ნიშნების გამოვლენა და პროფილაქტიკა“ (50 სთ)
N3 შედეგი - „ დაავადებული შინაური ბინადარი ცხოველის მკურნალობა“ (50 სთ)
N4 შედეგი - „ სტომატოლოგიური მანიპულაციებში ვეტერინარის დახმარება“ (37,5 სთ)

- ✓ **მოდული-„ პირველადი გადაუდებელი ვეტერინარული დახმარება”**

N2 შედეგი - „ პირველადი გადაუდებელი ვეტერინარული დახმარების აღმოჩენა“ (25 სთ)
N3 შედეგი - „ პირველადი დახმარების მეთოდები“ (25 სთ)
N4 შედეგი - „ ცხოველის კრიტიკული მდგომარეობის მართვა “ (25 სთ)

- ✓ **მოდული-„ ბიოუსაფრთხოების საფუძვლები”**

N3 შედეგი - „ სანიტარული წესები, დეზინფექცია და სტერილიზაციის მეთოდების აღწერა“ (12,5 სთ)
N4 შედეგი - „ ბიოუსაფრთხოების პროცედურების აღწერა ვეტერინარულ დაწესებულებებში“ (12,5 სთ)

მოდულის „ქართული ენა“ A2 და „ქართული ენა“ B1 გავლა გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს “საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ 24 მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით, მათ შორის, 15 კრედიტი განკუთვნილია ,,ქართული ენა A2” სწავლებისათვის. არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის სულ 81 კრედიტი. კოლეჯი უფლებამოსილია ზემოაღნიშნული წესით ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტს პროგრამაზე სწავლა დააწყებინოს ქართული ენის მოდულის გავლის გარეშე, იმ შემთხვევაში თუ პროგრამით გათვალისწინებული მოდულით/მოდულებით დადგენილი ენობრივი კომპეტენცია დადასტურდება მის მიერ, კოლეჯის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით განსაზღვრული შეფასების მექანიზმებით.

მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის: 128 კრედიტი

- **სავარაუდო ხანგრძლივობა: 24 თვე**
- **მოცულობა არაქართულენოვან სტუდენტებისათვის: 158 კრედიტი**
- **სავარაუდო ხანგრძლივობა: 30 თვე**

სასწავლო გარემოში სწავლისთვის	კრედიტი	სამუშაო გარემოში სწავლისთვის	დისტანციური სწავლების შესაძლებლობები
ზოგადი მოდულები			
უცხოური ენა	3		
ინტერპერსონალური კომუნიკაცია	2		
მეწარმეობა	4		
რაოდენობრივი წიგნიერება	2		
სამოქალაქო განათლება	2		
ინფორმაციული წიგნიერება	2		
პროფესიული მოდულები			
გაცნობითი პრაქტიკა - ვეტერინარია	3	✓	
ცხოველთა ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურები	5		
მიკრობიოლოგია	4		
ჰისტოლოგია	3		
პათოლოგია	4		
ტოქსიკოლოგია	3		
ბიოქიმიის საფუძვლები	3		
ცხოველთა დაავადებები	7		
სურსათის უვნებლობა და ვეტერინარული საზოგადოებრივი ჯანდაცვა	4		
ინფექციის კონტროლის საფუძვლები	4		
ცხოველთა კვება	4		
ვეტერინარული ფარმაცია და ფარმაკოლოგია	7		

ცხოველთა მოვლა და კეთილდღეობაზე ზრუნვა	3	✓	
ცხოველთა იდენტიფიკაცია - რეგისტრაცია	2	✓	
გარემოსდაცვითი საფუძვლები	2		
ბიოუსაფრთხოება	2		
ცხოველთა მკურნალობა	4	✓	
ვეტერინარი ქირურგის ასისტირება	6	✓	
ცხოველთა ჯანმრთელობის დიაგნოსტირებაში მონაწილეობა	7	✓	
ცხოველთა საკარანტინო-შემზღუდავ ღონისძიებებში მონაწილეობა	6	✓	
ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი	6	✓	
ცხოველთა დაკვლისშემდგომი კონტროლის განხორციელებაში მონაწილეობა	7	✓	
ვეტერინარული მეანობა და გინეკოლოგია	6	✓	
შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი და კატა) დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა	7	✓	
პირველადი გადაუდებელი ვეტერინარული დახმარება	4	✓	
სულ კრედიტები - 128			

12.დამატებითი ინფორმაცია

12.1 სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული)
სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.
ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას
(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან
ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი,
კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება
საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა
- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;

- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

12.2 **კვალიფიკაციის მინიჭება**

უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად, პროფესიულმა სტუდენტმა, უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით **„ვეტერინარია“** განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები და ასევე აუცილებელი პირობაა ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

12.3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-12 პუნქტის 12.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით.

დანართი № 1.1-სასწავლო გეგმა

მოდულები:

დანართი 1.2 უცხოური ენა

დანართი 1.3 ინტერპერსონალური კომუნიკაცია

დანართი 1.4 მეწარმეობა

დანართი 1.5 რაოდენობრივი წიგნიერება

დანართი 1.6 სამოქალაქო განათლება

დანართი 1.7 ინფორმაციული წიგნიერება

დანართი 1.8 გაცნობითი პრაქტიკა - ვეტერინარია

დანართი 1.9 ცხოველთა ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურები

დანართი 1.10 მიკრობიოლოგია

დანართი 1.11 ჰისტოლოგია

დანართი 1.12 პათოლოგია

დანართი 1.13 ტოქსიკოლოგია

დანართი 1.14 ბიოქიმიის საფუძვლები

დანართი 1.15 ცხოველთა დაავადებები

დანართი 1.16 სურსათის უვნებლობა და ვეტერინარული საზოგადოებრივი ჯანდაცვა

დანართი 1.17 ინფექციის კონტროლის საფუძვლები

დანართი 1.18 ცხოველთა კვება

დანართი 1.19 ვეტერინარული ფარმაცია და ფარმაკოლოგია

დანართი 1.20 ცხოველთა მოვლა და კეთილდღეობაზე ზრუნვა

დანართი 1.21 ცხოველთა იდენტიფიკაცია - რეგისტრაცია

დანართი 1.22 გარემოსდაცვითი საფუძვლები

დანართი 1.23 ბიოუსაფრთხოება

დანართი 1.24 ცხოველთა მკურნალობა

დანართი 1.25 ვეტერინარი ქირურგის ასისტირება

დანართი 1.26 ცხოველთა ჯანმრთელობის დიაგნოსტირებაში მონაწილეობა

დანართი 1.27 ცხოველთა საკარანტინო-შემზღუდავ ღონისძიებებში მონაწილეობა

დანართი 1.28 ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი

დანართი 1.29 ცხოველთა დაკვლისშემდგომი კონტროლის განხორციელებაში მონაწილეობა

დანართი 1.30 ვეტერინარული მეანობა და გინეკოლოგია

დანართი 1.31 შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი და კატა) დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა

დანართი 1.32 პირველადი გადაუდებელი ვეტერინარული დახმარება

დანართი 1.33 ქართული ენა A2

დანართი 1.34 ქართული ენა B1

პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისათვის პარტნიორ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებები:

1. ხელშეკრულება #9 26.02.2026 წ. ი/მ „მამუკა ხმალაძე“
2. ხელშეკრულება #28 03.04.2026 წ. ი/მ „გურამ ხოდელი“
3. ხელშეკრულება #16 25.03.2026 წ. „ი/მ ვაჟა ძირკვაძე“
4. ხელშეკრულება #17 25.03. 2026 წ. ი/მ „კახაბერ ტეფნაძე“
5. ხელშეკრულება #13 19.03.2026 წ. სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია;
6. ხელშეკრულება #10 12.03. 2026 წ. შპს „სასოფლო საკონსულტაციო სამსახური“
7. ხელშეკრულება #15 19.03. 2026 წ. ა(ა)იპ „საქართველოს ბიზნეს განვითარების ცენტრი კავკასიის ახალციხის ოფისი“
8. ხელშეკრულება #29 23.04.2026წ. სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის დეპარტამენტი“
9. ხელშეკრულება #14 19,03.2026 წ. ა(ა)იპ „სამცხე-ჯავახეთის ვეტერინართა რეგიონული ასოციაცია“
10. ხელშეკრულება #18 26.03.2026წ. სსიპ “სამცხეჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
11. ხელშეკრულება #8 26.02.2026 წ. ფერმერი „რობერტ ნახაპეტიანი“
12. ხელშეკრულება #25 01.04.2026 წ. შპს „ ახალციხე აგრო ფუდი“
13. ხელშეკრულება #19 26.03.2026 წ. შპს“ ინვენტი“
14. ხელშეკრულება #11 17.03. 2026 წ. შპს „მესხეთი“